ქალბატონო ხათუნა,

თქვენი ა.წ. 12 მარტის № 01/13897 წერილის პასუხად, რომელსაც თან ახლავს საქართველოსა და აზერბაიჯანში ავსტრიის პოლიციის ატაშეს, ბატონი კარლჰაინც გაეტანოს წერილი, სადაც ის ითხოვს გარკვეული ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ:

ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით „Oftagel“ (აქტიური სუბსტანცია: Carbomer), დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. (იხ. დანართი №1)

ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით „World medicine dextran“, არ არის რეგისტრირებული საქართველოში, ხოლო აქტირური სუბსტანციით dextran და მათ შორის World Medicine Ilac San Ve Tic. A.S.-ის წარმოების ოფთალმოლოგიური საშუალებების ჩამონათვალი იხ. დანართი №2-ის სახით.

ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით „Hyaluronic serum“, არ არის რეგისტრირებული საქართველოში.

ფარმაცევტული პროდუქტი სავაჭრო დასახელებით „Zoloft“ (აქტიური სუბსტანცია: Sertraline), დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. (იხ. დანართი №3).

ამასთან, საქართველოში რეგისტრირებული ოფთალმოლოგიური საშუალებების ჩამონათვალი იხ. დანართი №4-ის სახით.

რაც შეეხება ფარმაცევტული პროდუქტების საბაზრო ფასს, აღნიშნულის შესახებ სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას, ვინაიდან იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებს კანონმდებლობით არ აქვთ ვალდებულება მის შესახებ სააგენტოში ინფორმაცია წარმოადგინონ.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოში რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://pharmacy.moh.gov.ge/.